2024

ორგანიზაცია: „დემოკრატიული ინსტიტუტების კვლევის ცენტრი“

აუდიტორი: შპს ქროუ ჯი

დემოკრატიული ინსტიტუტების კვლევის ცენტრი ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 3

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით..... 6

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის 7

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.8

ფონდებში ცვლილებების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის..... 9

ხარჯების ეკონომიკური შინაარსი 2023 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლისათვის..... 10

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები 11

Crowe GE LLC
Axis Business Palace, 4th floor
2, D. Gamrekeli Str., Tbilisi 0160, Georgia
Main +995 32 290 4522
www.crowe.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

„დემოკრატიული ინსტიტუტების კვლევის ცენტრი“ გამგეობის წევრებს:

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ ორგანიზაცია „დემოკრატიული ინსტიტუტების კვლევის ცენტრი”-ს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღებით დამთავრებული წლების საქმიანობის შედეგების ანგარიშგების, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისა და ფონდებში ცვლილებების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი საღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას 2022 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლებისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღებით, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ დამტკიცებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე”- ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ორგანიზაციისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ორგანიზაციის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ორგანიზაციის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ორგანიზაციის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ორგანიზაციის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ორგანიზაცია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია თეიმურაზ ფარცხალაძე.

თეიმურაზ ფარცხალაძე
მმართველი პარტნიორი,
„შპს ქროუ ჯი“

აქსის ბიზნეს ცენტრი, მე4 სართული
დ. გამრეკელის ქ. 2, 0160 თბილისი, საქართველო

26 ივნისი 2024

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში)	შენიშვნა	31-12-23	31-12-22
აქტივები			
ფული და მისი ეკვივალენტები	3	246,316	4,666
სხვა მოკლევადიანი აქტივები		280	73
ძირითადი საშუალებები	4	9,991	4,376
სულ აქტივები		**256,587**	**9,115**
ვალდებულბები და ფონდები			
ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულებები		2,086	- 148
სხვა ვალდებულებები		4,246	-
სულ ვალდებულებები		**6,332**	**(148)**
ფონდები			
დროებით შეზღუდული ფონდები	5	245,636	4,735
შეუზღუდავი ფონდები		4,619	4,528
სულ ფონდები		**250,255**	**9,263**
სულ ვალდებულებები და ფონდები		**256,587**	**9,115**

6-16 გვერდებზე მოცემული ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად დამტკიცებულია 2024 წლის 26 ივნისს შემდეგი პირის მიერ:

სოფიკო ვერძეული,
აღმასრულებელი დირექტორი:

თანდართული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ლარში)	შენიშვნა	**2023 წელი**	**2022 წელი**
შემოსავალი			
გრანტის სახით მიღებული შემოსავალი	6	197,622	25,210
სხვა შემოსავლები		1,817	510
სულ შემოსავლები		**199,439**	**25,720**
ხარჯები			
პროექტების ხარჯები:	**7**		
ააიპ კონსულტაციისა და ტრეინინგის ცენტრი		-	(8,102)
ისტ უესტ მენჯმენენტ ინსტიტუტ ინკ		(95,298)	(12,804)
ჰაინრიჰ ბოილის ფონდი ფილიალი		(17,976)	-
IWRP LIMITED		(60,983)	-
საერთაშორისო საქმეთა ეროვნულ დემოკრატიუული ინსტიტუტი		(3,586)	-
FONDS EUR PR LA DEM/FEDEM		(13,004)	-
სულ პროექტების ხარჯები		**190,847**	**20,906**
ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები	8	(4,858)	(275)
სხვა ხარჯები		-	-
საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება (ზარალი)		(3,643)	(11)
სულ ხარჯები		**(199,348)**	**(21,192)**
შეუზღუდავი ფონდების (შემცირება)/ზრდა		**91**	**4,528**

თანდართული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ლარში)	**2023 წელი**	**2022 წელი**
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
დონორებისაგან მიღებული დაფინანსება	438,522	29,945
ფულადი სახსრების სხვა შემოსვლები	1,965	1,374
მომწოდებლებზე გადახდილი თანხები	(78,778)	(13,742)
გადახდილი ხელფასები	(78,782)	(6,042)
გადახდილი გადასახადები	(24,833)	(2,032)
ფულადი სახსრების სხვა გასავლები	(7,456)	(433)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	**250,638**	**9,070**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(6,695)	(4,376)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	**(6,695)**	**(4,376)**
წმინდა ცვლილება ფულად სახსრებში და მათ ეკვივალენტებში	**243,943**	**4,694**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	4,666	-
საკურსო სხვაობა	(2,293)	(28)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	**246,316**	**4,666**

თანდართული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფონდებში ცვლილებების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	შეუზღუდავი ფონდები	დროებით შეზღუდული ფონდები	სულ
(თანხები მოცემულია ლარში)			
31 დეკემბერი 2021	**-**	**-**	**-**
გრანტი და შემოწირულობები	-	29,945	-
სხვა შემოსავლები	510	-	-
შეზღუდვისგან განთავისუფლებული ფონდი	25,210	(25,210)	-
ხარჯების დაფინანსება	(21,192)	-	-
31 დეკემბერი 2022	**4,528**	**4,735**	**-**
გრანტი და შემოწირულობები	-	438,523	-
სხვა შემოსავლები	1,817	-	-
შეზღუდვისგან განთავისუფლებული ფონდი	197,622	(197,622)	-
ხარჯების დაფინანსება	(199,348)	-	-
31 დეკემბერი 2023	**4,618**	**245,636**	**-**

თანდართული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ხარჯების ეკონომიკური შინაარსი 2023 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ლარში)

ხარჯის აღწერა	ისტ უესტ მენეჯმენტი		ჰაინრიჰ ბოილის ფონდი ფილიალი	IWRP LIMITED	საერთაშორისო საქმეთა ეროვნულ დემოკრატიუული ინსტიტუტი	FONDS EUR PR LA DEM/FEDEM	ააიპ კონსულტაციისა და ტრეინინგის ცენტრი	სულ	სულ
	2023	2022	2023	2023	2023	2023	2022	2022	2023
შრომის ანაზღაურება	48,825	6,954	588	26,297	1,043	8,240	753	7,706	84,994
საპენსიო დამსაქმებელის	1,237	141	215	840	43	295	47	188	2,629
მომსხარუბის ხარჯი	15,337	94	12,173	19,627	2,497	4,469	1,610	1,704	54,103
რეკლამის ხარჯი	1,380	-	-	492	-	-	1,084	1,084	1,872
მივლინების ხარჯი	1,150	-	-	270	-	-	-	-	1,420
საიჯარო ქირა	17,537	1,400	5,000	11,911	-	-	-	1,400	34,448
ვიდეო რგოლის დამზადება	9,012	3,928	-	-	-	-	4,576	8,504	9,012
კომუნიკაციის ხარჯები								-	-
ბანკის საკომისიო	281	9	-	47	3	-	32	41	331
რემონტი	-	278	-	-	-	-	-	278	-
კომპიუტერის ხარჯები	184	-	-	342	-	-	-	-	526
საკანცელარიო ხარჯი	355	-	-	234	-	-	-	-	589
სამეურნეო ხარჯი	-	-	-	888	-	-	-	-	888
საკონსულტაციო ხარჯები	-	-	-	34	-	-	-	-	34
სულ	**95,298**	**12,804**	**17,976**	**60,983**	**3,586**	**13,004**	**8,102**	**20,906**	**190,847**

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

შენიშვნა 1: ორგანიზაციის აღწერა

ორგანიზაცია "დემოკრატიული ინსტიტუტების კვლევის ცენტრი" დაარსდა 2018 წლის 22 მაისს.

ორგანიზაცია საზოგადოებას სთავაზობს კრიტიკულ ხედვას საქართველოსა და მსოფლიოში მიმდინარე პროცესების შესახებ. ორგანიზაციის ფუნქციაა, როგორც ცოდნაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, ასევე საჯარო პოლიტიკურ პროცესებში სამოქალაქო ინტერესების დაცვა; ამისთვის, იგი ქმნის საზოგადოებრივი ერთობის ახალ, განსაკუთრებულ პლატფორმას, რომელიც ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში გარდატეხის შეტანას შეეცდება.

ორგანიზაციის მიზანია გააზიაროს ცოდნა საზოგადოებისთვის , შექმნას რესურსი ქართულ ენაზე რომელიც უფასო და ხელმისაწვდომი იქნება ყველასთვის.

ორგანიზაციის მთავარი დონორები და პარტნიორები არიან:

- ჰაინრიხ ბიოლის ფონდი სამხრეთ კავკასიის ოფისი
- ფრიდრიხ ებერტის ფონდი
- ევროპული წვლილი დემოკრატიისთვის (European Endowment for Democracy, EED)
- USAID-ის სამართლის უზენაესობის პროგრამა
- ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტი
- ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტი საქართველი (NDI)
- სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI)
- კონსულტაციებისა და ტრენინგის ცენტრი (CTC)

2022-2023 წლების განმავლობაში ორგანიზაციის მიერ განხორციელებული პროექტების დეტალური აღწერა მოცემულია ქვემოთ:

ორგანიზაციის იურიდიული და ფაქტიური მისამართია: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი , ს.ნასიძის ქ N17 ა , ბ .3

ორგანიზაციის ვებ გვერდის მისამართია: www.komentari.ge

პროექტის სათაური	ხანგრძლივობა	ბიუჯეტი	დაფინანსების წყარო
CTC_STAR(CAT)_EU_SUB_022_002	01.07.2022 – 30.11.2022	2,945.2 EUR	ა(ა)იპ კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი
Promoting Democratization of Justice system in Georgia	01.10.2022-30.09.2023	43,494.48 USD	East West Management Institute
საქართველოს კონსტიტუციური ინსტიტუტების ლეგიტიმურობის კრიზისის ანალიზის გზით ინკლუზიური და კონსენსუალური პოლიტიკური გარემოს მხარდაჭერა	03.04.2023-30.09.2023	17,996 GEL	ჰაინრიჰ ბოილის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიურო
Supporting non-state actors to improve societal resilience against the context of a heightened range of threats in the Eastern Neighbourhood	01.09.2023-29.02.2024	39,995.5 GBP	Institute for War and Peace Reporting UK
Progressive Alternative for Georgian Society	01.12.2023-30.11-2024	119,992 EUR	European Endowment for Democracy

შენიშვნა 2: ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ დამტკიცებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის შესაბამისად.

თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულ და წარდგენილ იქნა პირვანდელი ღირებულების პრინციპისა და დარიცხვის მეთოდის შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებული და წარდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ლარში, რომელიც წარმოადგენს ორგანიზაციის საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას.

ქვემოთ მოცემულია ორგანიზაციის სააღრიცხვო პოლიტიკის მნიშვნელოვანი პრინციპები.

უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები გადაყვანილია ლარში ტრანზაქციის თარიღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. წლის ბოლოს მონეტარული მუხლების ნაშთები გადაანგარიშდება ეროვნული ბანკის მიერ შესაბამისი წლის 31 დეკემბერს დადგენილი სავალუტო გაცვლითი კურსის შესაბამისად.

ფულადი სახსრები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ბანკში განთავსებული ფულისგან.

დონორებისგან მიღებული გრანტები

დონორებისგან მიღებული გრანტები თავდაპირველად აღირიცხება როგორც დროებით შეზღუდული ფონდები, როცა ხელშეკრულება დონორთან გაფორმებულია და ორგანიზაცია მიიღებს გრანტს დონორისგან.

შემდგომში დროებით შეზღუდული ფონდები გადადის საქმიანობის შედეგების ანგარიშგებაში და აღიარდება როგორც იმ პერიოდის შემოსავალი, რომელ პერიოდშიც მოხდა შესაბამისი პროექტის ხარჯების გაწევა და აღიარება. საგრანტო შემოსავალი აღიარდება შესაბამის პროგრამაზე გაწეული დანახარჯების ექვივალენტი თანხით. აქტივებთან დაკავშირებული გრანტები აღიარებულია შემოსავალად, როდესაც ორგანიზაცია შეასრულებს გრანტთან დაკავშირებულ პირობებს და არ აქვს მიღებული სახსრების დაბრუნების ვალდებულება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია თვითღირებულებით, რაც შემცირებულია დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების თანხით. ძირითადი საშუალების ღირებულება მოიცავს: ნასყიდობის ფასს, მათ შორის საიმპორტო, საბაჟო გადასახადებს და შესყიდვის დაუბრუნებად გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, აგრეთვე ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის. ძირითადი საშუალების ყოველდღიური საექსპლუატაციო მომსახურების დანახარჯები აღიარდება ხარჯად საქმიანობის შედეგების ანგარიშგებაში, მათი გაწევის მომენტში.

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება იმ დღიდან, როდესაც ისინი ხელმისაწვდომია

გამოსაყენებლად და წყდება აქტივის აღიარების გაუქმებისას. ცვეთა ეფუძნება აქტივის ღირებულებას მისი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით.

ცვეთა აღიარებულია საქმიანობის შედეგების ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის გამოყენებით ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ძირითადი საშუალებების შეძენისა და გასვლის წელს ცვეთის დარიცხვა ხდება პროპორციული წესით. მენეჯმენტი თვლის, რომ ეს მეთოდი ყველაზე უკეთ ასახავს აქტივში ჩადებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოსალოდნელ ხასიათს. ცვეთის მეთოდები, სასარგებლო ვადები და ნარჩენი ღირებულებები განიხილება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება.

ძირითადი საშუალებების თვითოეული ჯგუფისათვის გამოყენებული სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

ძირითადი საშუალებების ჯგუფი	მომსახურების ვადა (წელი)
ოფისის აღჭურვილობა	10
ავეჯი და სხვა ინვენტარი	10

შემოსავლების აღიარება

შემოსავლები შედგება სხვადასხვა დონორებისგან მიღებული გრანტებისგან და შემოწირულობებისგან.
საგრანტო შემოსავლების აღიარება ხდება, როდესაც შესაბამისი პროგრამის მიხედვით გაწეული იქნება ხარჯები, ან ორგანიზაცია შეასრულებს გრანტთან დაკავშირებულ პირობებს.
ორგანიზაციის მიერ მიღებული შემოწირულობა, რომელსაც რაიმე შესასრულებელი პირობა არ ახლავს, მიღებისთანავე აღიარდება შემოსავლად.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით, გაწევის მომენტში.

შენიშვნა 3: ფული და მისი ეკვივალენტები

(თანხები მოცემულია ლარში)	**31-12-23**	**31-12-22**
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	53,262	4,666
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	193,054	-
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	**246,316**	**4,666**

შენიშვნა 4: ძირითადი საშუალებები

(თანხები მოცემულია ლარში)	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
ისტორიული ღირებულება			
31 დეკემბერი 2021 წელი	**-**	**-**	**-**
შეძენა	4,376	-	4,376
ლიკვიდაცია და ჩამოწერა	-	-	-
31 დეკემბერი 2022 წელი	**4,376**	**-**	**4,376**
შეძენა	6,566	129	6,695
ლიკვიდაცია და ჩამოწერა	-	-	-
31 დეკემბერი 2023 წელი	**10,942**	**129**	**11,071**
დაგროვილი ცვეთა			
31 დეკემბერი 2021 წელი	**-**	**-**	**-**
პერიოდის დარიცხვა	-	-	-
ლიკვიდაცია და ჩამოწერა	-	-	-
31 დეკემბერი 2022 წელი	**-**	**-**	**-**
პერიოდის დარიცხვა	(1,055)	(25)	(1,080)
ლიკვიდაცია და ჩამოწერა	-	-	-
31 დეკემბერი 2023 წელი	**(1,055)**	**(25)**	**(1,080)**
ნეტო საბალანსო ღირებულება			
31 დეკემბერი 2022 წელი	**4,376**	**-**	**4,376**
31 დეკემბერი 2023 წელი	**9,887**	**104**	**9,991**

შენიშვნა 5: დროებით შეზღუდული ფონდები

(თანხები მოცემულია ლარში)	**31-12-23**	**31-12-22**
IWRP LIMITED	39,758	-
საერთაშორისო საქმეთა ეროვნულ დემოკრატიუული ინსტიტუტი	9,162	-
FONDS EUR PR LA DEM/FEDEM	196,716	-
ისტ უესტ მენჯმენენტ ინსტიტუტ ინკ	.	4,735
სულ დროებით შეზღუდული ფონდები	**245,636**	**4,735**

შენიშვნა 6 : გრანტის სახით მიღებული შემოსავალი

(თანხები მოცემულია ლარში)	**2023 წელი**	**2022 წელი**
ააიპ კონსულტაციისა და ტრეინინგის ცენტრი	-	8,029
IWRP LIMITED	67,641	-
საერთაშორისო საქმეთა ეროვნულ დემოკრატიუული ინსტიტუტი	3,586	-
FONDS EUR PR LA DEM/FEDEM	13,004	-
ისტ უესტ მენჯმენენტ ინსტიტუტ ინკ	95,395	17,180
ჰაინრიჰ ბოილის ფონდი ფილიალი	17,996	-
სულ დროებით შეზღუდული ფონდები	**197,622**	**25,210**

შენიშვნა 8: ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები

(თანხები მოცემულია ლარში)	**2023 წელი**	**2022 წელი**
ცვეთა და ამორტიზაცია	- 1,080	-
სხვა ხარჯები	- 3,778	- 275
სულ დროებით შეზღუდული ფონდები	**(4,858)**	**(275)**

შენიშვნა 11: საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მნიშვნელოვან მოვლენებს ადგილი არ ქონია.

შენიშვნა 12: სხვა შენიშვნები

დოკუმენტი შექმნილია კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრის მხარდაჭერით, ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის "სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა: მდგრადი, ღია და ანგარიშვალდებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოს განვითარებისთვის" ფარგლებში. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია დემოკრატიული ინსტიტუტების კვლევის ცენტრი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის შეხედულებებს. პროექტს ახორციელებს კონსორციუმი კონრად ადენაუერის ფონდის (**KAS**) ხელმძღვანელობით შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (**CSRDG**), სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (**CSI**), კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრი (**CTC**), განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი (**EDEC**) და ევროპული პოლიტიკის ინსტიტუტი (**IEP**).